საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

18/08/2022
N 09-02-16/528

528-09-02-16-2-202208181632

საქართველოს საავტომობილო გზების
დეპარტამენტის თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი წერეთელს

სადეპუტატო კითხვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, სარფი-შეკვეთილის შემოვლითი გზის მშენებლობასთან დაკავშირებით გთხოვთ მოგვაწოდოთ:

1. ჩაქვი-ახალსოფლის/გონიოს მონაკვეთის გზის მშენებლობასთან დაკავშირებით უკვე გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების, ასევე მიღება-ჩაბარების დოკუმენტების ასლები;
2. გონიო/ახალსოფელი-სარფის მონაკვეთის მშენებლობის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მომზადების, ასევე ამავე მონაკვეთის მშენებლობის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ასლები და მიღება-ჩაბარების დოკუმენტების ასლები;
3. გონიო-სარფის მონაკვეთის გზის მშენებლობის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის ასლები;
4. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით შეჩერებულია ჩაქვი-ახალსოფლის/გონიოს მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნულთან დაკავშირებით გთხოვთ გვაცნობოთ სამუშაოების შეჩერების მიზეზების შესახებ, ასევე რატომ ვერ მოხერხდა რამდენიმე თვეა მშენებლობაზე დასაქმებულ პირებზე შრომის ანაზღაურების გაცემა.
5. ინფორმაცია როდის დასრულდება სარფი-შეკვეთილის გზის სამშენებლო სამუშაოები სრულად, სამუშაოების წარმოების გეგმა-გრაფიკთან ერთად.

პატივისცემით,

ელგუჯა ბაგრატიონი

თავმჯდომარე

ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"